

ინფორმაცია ონის მუნიციპალიტეტში 2020 წელს მიმდინარე და დაგეგმილი პროექტების შესახებ.

ონის მუნიციპალიტეტში სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის განვითარების მიმართულებით 2020 წელს დაიგეგმა არაერთი მასშტაბური პროექტი. თითოეული მათგანი გათვლილია მოსახლეობის საჭიროებებზე და კეთილდღეობაზე და სრულიად პასუხობს არსებულ პრობლემებსა და გამოწვევებს.

**ონის მუნიციპალიტეტში 2020 წელს რეგ. ფონდიდან დასაფინანსებელი პროექტების თანხის ლიმიტი შეადგენს 3 182 756 ლარს.**

**გამოცხადებულია ტენდერი:**

- ქ. ონის ტერიტორიაზე არსებული სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია (უბნები: N2,N3,N4,N5 ახალშენის, ბააზოვის, წმინდა ნინოს, და მაისურადის ქუჩები), ღირებულებით - 180 720 ლარი. მიმდინარეობს შერჩევა/შეფასება;
- ქ. ონის ქუჩებისა და საზოგადოებრივი სივრცეების კეთილმოწყობა (II ეტაპი), მოიცავს აღმაშენებლის ქუჩას და მოედნის, წერეთლის, ლებანიძის და დემეტრე II -ს ქუჩების, სხირტლადის ქუჩის მიმდებარე სკვერის კეთილმოწყობას, სოფ. კომანდლის ხიდთან არსებული მომუშაობის რეაბილიტაციას და აღმაშენებლის, წერეთლის, ლებანიძის და დემეტრე II -ს ქუჩებზე გარე განათების მოწყობას, ღირებულებით - 2 000 000 ლარი.
- ქვემო ბარში და სორში წყალმომარაგების სარეაბილიტაციო სამუშაოები, ღირებულებით - 340 246 ლარი.
- სოფელ გლოლის, უწერის და პიპილეთის წყალმომარაგების გარე ქსელის სარეაბილიტაციო სამუშაოები, ღირებულებით - 829 301 ლარი.
- სოფელ ღების საჯარო სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოები, ღირებულებით - 64 873 ლარი.

**სკოლების სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის გამოიყო 310 000 ლარი**

- სოფელ პიპილეთის საჯარო სკოლის რეაბილიტაცია, ღირებულებით - 225 000 ლარი.
- სოფელ ჭიორის საჯარო სკოლის რეაბილიტაცია, ღირებულებით - 102 600 ლარი.

**დაგეგმილია:**

□ **საგზაო ინფრასტრუქტურა:**

- სოფელ ბარი-მრავალძლის გზის რეაბილიტაცია (V ეტაპი), ღირებულებით -3 000 000 ლარი; (დასრულება) დაახ. 4500 გრძ. მეტრი.
- სოფელ შარდომეთისა და ახალი ჩორდის გზის (4კმ) ასფალტირება, ღირებულებით - 2 500 000 ლარი;
- სოფელ ზუდალი-სევის გზაზე ბეტონის საფარის მოწყობა (6კმ) - 2 500 000 ლარი;
- სოფელ გადამში-ჭვებარის გზის რეაბილიტაცია (10კმ) - 1 500 000 ლარი;
- სოფელ ღებიდან სვანეთის მიმართულებით გზის რეაბილიტაცია (30კმ) - 500 000 ლარი;
- სოფელ პიპილეთიდან სოფელ ბოყვამდე გზის რეაბილიტაცია (8კმ) - 550 000 ლარი;
- სოფელ საკაოს გზის რეაბილიტაცია (10კმ) - 6 000 000 ლარი.

□ **კეთილმოწყობა:**

- ქ. ონის ტერიტორიაზე არსებული მინ. წყლებისა და მიმდებარე ტერიტორიების კეთილმოწყობა - პროექტის ღირებულებაა - 90 000 ლარი.ჭალის წყალის მინ.წყლის მიმდებარე ტერიტორია.
- სპორტული კომპლექსის შენობის შესაბამისი სპორტული ინვენტარით აღჭურვა, ღირებულებით - 70 000 ლარი;
- ძველი ადმინისტრაციული შენობის დემონტაჟი, ღირებულებით - 300 000 ლარი.
- ქ. ონში კულტურის სახლისა ცენტრალური გათბობის სისტემისა და იატაკის რეაბილიტაცია, კეთილმოწყობა (600მ<sup>2</sup>) - პროექტის ღირებულებაა - 120 000 ლარი.
- ქ. ონში მინი სპორტული მოედნის მოწყობა (1200მ<sup>2</sup>) - პროექტის ღირებულებაა - 80 000 ლარი.
- სოფელში საკაო, პიპილეთი, ცხმორში ადმინისტრაციული შენობების რეაბილიტაცია და ინვენტარით აღჭურვა. 55 000 ლარი.

**იგეგმება საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება:**

- ქ. ონში ბეერ-შევას სახელობის დასასვენებელი პარკის, მურმან ლებანიძის სანაპიროს, სააკაძის ქუჩისა და სახელაშვილის დასახლების მიმდებარე ტერიტორიების კეთილმოწყობა-რეაბილიტაცია, ღირებულებით - 3 500 000 ლარი.

**სტიქია:**

მუნიციპალიტეტის მერიამ შეისყიდა 2019 წლის სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაცია, ღირებულებით - 4 732 911 ლარი , რომელიც მოიცავს სოფლების: ღების, გლოლის, უწერის, ჯინჭვისის ლავგანთის გადამშსა და ჭვებარის, ხირხონისის დაზიანებული უბნების აღდგენა რეაბილიტაციას, მდინარეების კალაპოტის წმენდა-ფორმირების, ნაპირსამაგრების მოწყობის, სახიდე გადასასვლელების, სანიაღვრე სისტემების, შიდა საუბნო გზების მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოებს. დღეის მდგომარეობით გუბერნიის ადმინისტრაციაში გადაგზავნილია წერილი (16.01.2020) ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან შეუამდგომლობის შესახებ I ეტაპი სამუშაოებზე (რთული უბნები) დაფინანსების მოთხოვნით , თანხის რაოდენობა შეადგენს 1 867 324 ლარს.

**ადგილობრივი ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი პროექტები:**

**გამოცხადებულია:**

- ✓ ქ. ონში „ამხანაგობა 7“ საცხოვრებელი კორპუსის სადარბაზოს კეთილმოწყობის სამუშაოები, ღირებულებით - 8921 ლარი;
- ✓ სოფელ სორგითში წმინდა გიორგი სახელობის ეკლესიის მისასვლელი გზისა და ნაპირსამაგრი კედლის მოწყობა-რეაბილიტაცია, ღირებულებით - 25 424 ლარი;

### იგეგმება ადგილობრივი ბიუჯეტის ფარგლებში :

- ❖ შიდა სასოფლო გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები შემდეგ სოფლებში: ფარავნეში, ჟამიერეთის უბანი, სამთისში, სორგითში, ფარახეთი, სევა, შარდომეთსა და სორში სულ ჯამური ღირებულებით - 250 000 ლარი;
- ❖ სოფლებში გარე განათების მოწყობის სამუშაოები - 25 000 ლარი;
- ❖ სოფლებში (ხიდეშლები, კომანდელი, ცხმორი, სორგითი, ზუდალი, სევა, შარდომეთი) სასმელი წყლის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები, ჯამური ღირებულებით - 128,420 ლარი.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 2020 წელს ონის მუნიციპალიტეტს გამოეყო 638 000 ლარი. ადგილობრივი ბიუჯეტიდან განსაზღვრულია 100 000 ლარი.

დაიწყო პროგრამის განხორციელების I ეტაპის სამუშაოები. იანვრის თვეში გაიმართა შეხვედრები სოფლის მოსახლეობასთან. მოსახლეობის საჭიროებებიდან გამომდინარე თოთოეული სოფლისთვის განისაზღვრა პრიორიტეტული პროექტების ჩამონათვალი, რომელსაც წარმოგიდგენთ საბოლოო ფორმირების შემდგომ, უახლოეს საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად. სამუშაოები განხორციელდება სასმელის წყლის სისტემების ( წყალსადენები, სათავე ნაგებობები, გამწმენდი ნაგებობები), სანიაღვრე არხების, ნაპირსამაგრების, გზების, ხიდების, ცხაურების, გარე განათებების, სპორტული მოედნების, სკვერების და სხვ. მოწყობის მიმართულებით.

სამუშაოები განხორციელდება საპროექტო დოკუმენტაციის მომზადების შემდგომ. სულ ჯამური ღირებულება შეადგენს 738 000 ლარს. 63 სოფელი.

ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მიმდინარე და პერიოდულ შეკეთებაზე გათვალისწინებულია 33 898 ლარი. სამუშაოებს ასრულებს - შპს „ონის სერვის ჯგუფი“